



კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #10

2015 წლის ოქტომბერი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot
für die Welt

Brot für die Welt –
Evangelischer
Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 1 - 30 ოქტომბერი - მიღწეული შედეგები:

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი
მობილიზატორი - ლარისა შენგელია

სოციალურად დაუცველ ქალბატონს, რომელსაც კანის დაავადება აქვს, ქუთაისის მერიამ ერთჯერადად 500 ლარი გამოუყო. ინფორმაცია ამ დახმარების შესახებ ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორისგან გაიგო.

მობილიზატორები ყოველთვიურად ხვდებიან მერიისა და საკრებულოს სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებს, მიღებულ ინფორმაციებს ავრცელებენ კოლექტიურ ცენტრებში, სამობილიზაციო შეხვედრებზე. ირკვევა, რომ მოსახლეობამ ცოტა რამ იცის ადგილობრივი პროგრამების შესახებ, ამიტომაც ამ შეხვედრებს განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. მიღებულ ინფორმაციებს ბენეფიციარები საკუთარი საჭიროებისათვის იყენებენ, ან ეუბნებიან იმათ, ვისაც მსგავსი დახმარება ესაჭიროება.

სამობილიზაციო შეხვედრები ჩატარდა 3 კოლექტიურ ცენტრში: ყოფილი სატრაქტორო ქარხანა, კოტეჯი #1, ნიკეას პირველი შესახვევი სახლი #3.

აღნიშნული ცენტრები გარემონტების შემდეგ საკუთრებაში გადაეცათ დევნილებს, თუმცა პრობლემები მაინც აქვთ. მობილიზატორის დახმარებით ისინი ცდილობენ პრობლემების ადვოკატირებას. ამ პროცესს სირთულეებიც ახლავს, მაგალითად, მერიას აქვს პროგრამები თანადაფინანსებით, მაგრამ იმის გამო, რომ დევნილებს არა აქვთ 20% დასამატებელი თანხა, ადვოკატირება ხშირად ჭიანჭურდება. მიუხედავად ამისა, მობილიზატორი მუდმივ კონტაქტშია ბენეფიციარებთან და ეძებენ გზებს პრობლემების მოსაგვარებლად.

ფსიქოლოგთან შეხვედრაზე შეიკრიბნენ ქალბატონები ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში. საინტერესო დისკუსიის ფონზე განიხილეს თემა „ოჯახური კრიზისები და მათი

მართვა“. გაირკვა, რომ უმრავლესობას ან გადაუტანია, ან ახლა აქვს კრიზისის ეტაპები. ფსიქოლოგის რჩევები ამ დროს განსაკუთრებით საჭიროა.

ამავე თემაზე იყო საუბარი ფსიქოლოგის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებზე 6 კოლექტიურ ცენტრში.

კონსულტაციების შემდეგ ზოგმა გადაჭრა პრობლემა, ზოგი ისევ აგრძელებს სეანსებს.

ერთი მაგალითი: ინდივიდუალურ კონსულტაციაზე გასული თვიდან დადის ქალბატონი და მისი 15 წლის ვაჟი. დედა მარტო ზრდის შვილს. ფსიქოლოგი ცალ-ცალკე ესაუბრა მათ. აღმოჩნდა, რომ დედას აქვს პანიკური შიში - რადგან ბიჭს მამა არ ჰყავს, შესაძლოა გახდეს ნარკომანი ან ხულიგანი. ამიტომ ცდილობს, ბიჭს მის მიმართ შიში ჩაუნერგოს. ფსიქოლოგთან საუბრის შემდეგ დედამ ტაქტიკა შეცვალა - გადაწყვიტა, შეშინების ნაცვლად იმეგობროს მასთან. შედეგი უკვე არის. დედა-შვილს შორის ურთიერთობა დარეგულირდა.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გამართული იურიდიული კონსულტაციის მთავარი თემა იყო კანონი თანასაკუთრების შესახებ, განქორწინების შემდეგ წყვილებს შორის ქონების გაყოფის საკითხები.

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა აგრეთვე ქუთაისის 12 სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში. მონაწილეთა შეკითხვებიდან გამომდინარე, იურისტმა ისაუბრა სამეზობლო დავებზე, შრომით უფლებებზე, განქორწინებაზე, ალიმენტის დაწესებაზე და მასთან დაკავშირებულ პროცედურებზე.

ინდივიდუალურ კონსულტაციაზე იურისტთან ონლაინ-დახმარება მიიღო აზერბაიჯანელმა მამაკაცმა, ის საქართველოს მოქალაქეა, განქორწინებაშია და სჭირდება ინფორმაცია ალიმენტის გაცემის თაობაზე.

ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მე-6 სკოლაში (ქუთაისი) თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“.

ახალგაზრდული კლუბის წევრები ინფორმირებული არიან ოჯახში ძალადობის საკითხებზე და მათ საინტერესო მაგალითებით გაამდიდრეს დისკუსია. გამოიკვეთა საინტერესო იდეები, მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან 16-დღიან კამპანიაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

გაიმართა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალების ჯგუფთან, გამსახურდიას ქუჩაზე მცხოვრებ დევნილებთან. თემაზე: „პიროვნული ფასეულობები და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე, კონფლიქტების მოგვარების გზების ძიება ძალადობის პრევენციის მიზნით.“ მონაწილეებმა რეალური მაგალითებით იმსჯელეს, როგორ მოუგვარებიათ კონფლიქტი. ერთი მონაწილე, რომელსაც პირადი პრობლემა აქვს, გადამისამართდა ფსიქოლოგთან კონსულტაციის მისაღებად.

ფორუმ-თეატრმა წარმოდგენა გამართა სიყვარულის პარკში. ძირითადად, ახალგაზრდები ესწრებოდნენ, რომლებმაც თავიანთი დამოკიდებულება ოჯახური კონფლიქტებისა და ძალადობის მიმართ აქტიური დისკუსიით გამოხატეს.

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

მობილიზატორები: ზაირა კოპალიანი, ელენე ბენიძე

პრობლემათა ადვოკატირება, ბენეფიციარების ინფორმირება იმ სერვისებზე, რომლებიც ადგილობრივ დონეზე არსებობს, განსაკუთრებით აქტუალურია წყალტუბოში მცხოვრებთათვის. ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობამ გაზარდა ინფორმირების დონე. მობილიზატორებმა შეიტყვეს, რომ წყალტუბოს გამგეობაში არსებობს პროგრამა: სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის ერთჯერადად ასლარიანი დახმარება. ეს ინფორმაცია გავრცელდა სამობილიზაციო შეხვედრებზე. სამწუხაროდ, ბევრ დევნილს აღმოაჩნდა მისამართებთან დაკავშირებული პრობლემა. მობილიზატორების

აქტიურობით მომზადდა ამ ადამიანების სია. სია გადასცეს გამგეობას, გამოიყო კომისია, რათა მათი მდგომარეობა შეისწავლონ და მათ მიიღონ კუთვნილი დახმარება.

სამობილიზაციო შეხვედრები ჩატარდა შემდეგ ადგილებში: ახალი რაიონის სახლები #9 და #12, სასტუმროები „იმერეთი“, „ცენტროსოიუზი“, „წყალტუბო“, სოფელი თერნალი.

წყალტუბოში გაიხსნა ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი აუტიზმითა და დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვებისათვის. ცენტრის გახსნას მობილიზატორებიც დაესწრნენ. ეს ინფორმაცია კოლექტიურ ცენტრებში გაავრცელეს. რამდენიმე მსურველიც გამოჩნდა. ბავშვის მშობლებმა ინკლუზიურ ცენტრს მიმართეს და უკვე დარეგისტრირდნენ კიდევ.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „თვითშეფასება, ქცევის კონტროლი ძალადობის პრევენციის მიზნით“. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიღებულ რჩევებს ისინი ოჯახში იყენებენ და პრობლემებიც ნაკლები აქვთ.

მონაწილეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა იურისტთან შეხვედრაზე განხილული საკითხი, როგორ იცავს კანონი ძალადობის მსხვერპლს, როგორ ხდება მსხვერპლის სტატუსის მინიჭება, რა პროცედურებია ამისთვის გასავლელი. საკითხისადმი დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ ისინი იცნობენ ქალებს, რომლებისთვისაც ეს ინფორმაცია განსაკუთრებით საჭიროა.

წყალტუბოს პირველ სკოლაში გაიმართა ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა თემაზე „ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“. შეხვედრას პედაგოგიც დაესწრო. ახალგაზრდებმა ცხოვრებისეული მაგალითები განიხილეს, შეეხნენ ტრადიციებს, სტერეოტიპებს, რომლებიც ხშირად ხელს უწყობს ქალთა უფლებების შელახვას. შეხვედრაზე დაიგეგმა, რომ მონაწილეები ამ თემაზე დისკუსიებს სხვა სკოლაშიც გამართავენ.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალების ჯგუფთან თემაზე: „საკუთარი ფასეულობები, ოჯახური კონფლიქტების მოგვარების გზები ძალადობის პრევენციის მიზნით.“ გამოყენებული იყო პირადი მაგალითები. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ შეხვედრების შემდეგ სხვანაირად აზროვნებს და მისი ქცევებიც ოჯახში სხვანაირია, რაც კონფლიქტურ სიტუაციებს ნაკლებად ქმნის.

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

მობილიზატორები: ილონა ნაჭყებია, მაია მანდარია

ერთ-ერთმა ბენეფიციარმა მობილიზატორს დახმარებისთვის მიმართა - აინტერესებდა ალიმენტის მიღებასთან დაკავშირებული საკითხი. სამი წელია განქორწინებულია და შეწყვეტილი აქვს ალიმენტის მიღება (მხოლოდ ერთი წელი იღებდა). სჭირდებოდა ინფორმაცია, თუ აღუდგება ალიმენტი მის შვილს, ან ეკუთვნის თუ არა რაიმე წილის სახით მეუღლის ოჯახიდან. მას ცენტრის იურისტმა კონსულტაცია გაუწია. განემარტა, რომ სამი წლის მერე არა აქვს უფლება, წილი მოითხოვოს, მაგრამ ალიმენტის აღდგენა შესაძლებელია. კონსულტაციის შემდეგ ქალბატონმა გადაწყვიტა ალიმენტის აღდგენა, აგროვებს საჭირო დოკუმენტებს. ამ შემთხვევას მონიტორინგს გაუწევს ცენტრის იურისტი სანამ პრობლემა არ გადაწყდება.

მობილიზატორებმა ჩატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა სამხედრო დასახლების კოლექტიური ცენტრის ##84, 85, 90, 96,102 სახლებში და სოფელ ქარჩხაპში.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „თვითშეფასება, ქცევის კონტროლი ძალადობის პრევენციის მიზნით“.

იურისტის საინფორმაციო შეხვედრა მიემდგვნა ქალთა მიმართ ძალადობის თემას. ისაუბრეს სამეზობლო დავებზე.

ინდივიდუალური იურიდიული კონსულტაცია მიიღო ძალადობის მსხვერპლმა ქალმა, რომელსაც მსხვერპლის სტატუსის მიღება უნდა და არ იცის, ვის მიმართოს. მას განემარტა ის საფეხურები, რომელიც სტატუსის მისაღებად არის საჭირო.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გაიმართა ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა თემაზე „ოჯახში ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“. ახალგაზრდებმა ინტერესით იმსჯელეს ძალადობის მოგვარების გზებზე.

ახალგაზრდებთან ჩატარდა აგრეთვე ვორკშოპი „პიროვნული ღირებულებები, მენტალიტეტი და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე.“

ვორკშოპის მონაწილეებმა დაგეგმეს, ახალგაზრდულ საკრებულოში ამ საკითხზე გამართონ მსჯელობა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეების ჩართულობით.

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

მობილიზატორები: ნელი უნგიაძე, ციალა გულედანი

ფოთში ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებს დახმარებისთვის მიმართეს ახალი რაიონის #10 სახლში მცხოვრებმა ქალებმა. მათ ბინაში გაიჭედა საკანალიზაციო მილი და მთელ საცხოვრებელ სახლში შეიქმნა პრობლემა. მობილიზატორები დაუკავშირდნენ მერიის სამსახურებს, რომლებმაც გადმოამისამართეს მალთაყვის მუნიციპალიტეტში, რადგან შენობა მის დაქვემდებარებაშია. რეაგირება იმავე დღესვე მოხდა. მუნიციპალიტეტიდან მოვიდა სპეციალური ბრიგადა, რომელმაც გაწმინდა საკანალიზაციო სისტემა და პრობლემა გადაიჭრა.

მობილიზატორებმა ჩაატარეს გეგმით გათვალისწინებული 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: ახალი რაიონი, გაგრის ქუჩა, სახლები, ##10, 10ა, 12, სასწავლო ცენტრი ##1, 2, 3.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გაიმართა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე „პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგია.“

იურისტის კონსულტაციის საკითხებს წარმოადგენდა: ქორწინება, ბინის გირავნობა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული კოდექსი.

ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა გაიმართა ფოთის მე-4 საჯარო სკოლაში თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“. სკოლაში სამოქალაქო გაკვეთილზე ხშირად განიხილება სხვადასხვა საკითხი. ქალთა მიმართ ძალადობის თემა მონაწილეებმა ცხარე დისკუსიით განიხილეს. დამსწრე პედაგოგმა აღნიშნა, რომ ამ თემაზე სამოქალაქო გაკვეთილზე გააგრძელებენ დისკუსიას.

ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალების ჯგუფთან პიროვნული ღირებულებების თემაზე, ოჯახურ კონფლიქტებზე და მათ მოგვარებაზე.

ფორუმ-თეატრმა წარმოდგენა ფოთის მე-5 სკოლაში გაიმართა. აუდიტორია უფროსკლასელი მოსწავლეებისგან შედგებოდა. მონაწილეებმა კარგად აღიქვეს ეს ფორმატი, თვითონაც ჩაენაცვლნენ მსახიობებს და პრობლემის მოგვარების ალტერნატიული ვარიანტები აჩვენეს.

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

მობილიზატორები: დინა გიორგაძე, ვერონიკა ქობალია

ერთ-ერთ ბენეფიციარს გარდაეცვალა მეუღლე. ოჯახი სოციალურად დაუცველია. მობილიზატორმა მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ გამგეობას გააჩნია პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებებს. აღნიშნულმა ქალბატონმა განცხადებით მიმართა გამგეობას, მალევე ოჯახს დახმარების სახით 200 ლარი გადაერიცხა დაკრძალვის ხარჯების გასაწევად. ბენეფიციარი აღნიშნავს, რომ არა ცენტრის მობილიზატორი, ის ვერ გაიგებდა ინფორმაციას ამ დახმარების შესახებ.

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: სასტუმროები „მენჯი“ და „ვერისი“, მე-5 ტრესტი, პროფსასწავლებელი, სამხედრო ქალაქი, სოფელი ბათარია.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „ოჯახური კრიზისები და მისი მართვა“.

იურისტის კონსულტაციაზე მონაწილეები დაინტერესდნენ საკითხებით: საკუთრების ცნება, საკუთრების უფლება, მესაკუთრისა და მფლობელის ვალდებულებები.

სენაკის პირველ სკოლაში ახალგაზრდული კლუბი შეიკრიბა. ახალგაზრდები საუბრობდნენ ტრადიციებზე, სტერეოტიპებზე და მათ ნეგატიურ გავლენაზე.

ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალების ჯგუფთან „პიროვნული ღირებულებები, მენტალიტეტი და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე.“

ხურჩა/კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრი **მობილიზატორები: ნონა ბუკია, დალილა ჩიქავა**

სოფელ ხურჩაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა აქტუალურია. ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორს ხშირად უწევს ოჯახური კონფლიქტების დარეგულირება, ან უფრო რთულ შემთხვევაში ფსიქოლოგი და იურისტი ერთვებიან პროცესში. ერთ ქალბატონს ოჯახური კონფლიქტი აქვს, უფრო კონკრეტულად, მას ეჩხუბებიან გერები, არ ცნობენ ოჯახის წევრად. მობილიზატორმა ის ფსიქოლოგთან მოიწვია შეხვედრაზე, მიიღო კონსულტაცია, სიტუაცია დარეგულირდა, მაგრამ კონფლიქტი ისევ განახლდა. ამჯერად სხვა მიზეზით. ბენეფიციარმა გადაწყვიტა, განქორწინებით დაამთავროს საქმე. აიყვანა ადვოკატი საკუთარი უფლებების დასაცავად. ყველა საჭირო დოკუმენტაცია მომზადებულია, რათა დავა სასამართლოში გადაწყვიტოს.

ხურჩასა და კოკში ჩატარდა სამ-სამი სამობილიზაციო შეხვედრა.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში აღნიშნეს სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღე. მოაწყვეს სოფლის პროდუქტების და საკუთარი ნამუშევრების გამოფენა.

ფსიქოლოგმა გამართა შეხვედრა თემაზე „ოჯახური კრიზისები და მისი მართვა, როგორ გავუმკლავდეთ სტრესს“. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ სოფელ კოკიდან ჩამოსული ქალებიც.

ჩატარდა ვორკშოპი ქალებთან კონფლიქტოლოგიაში „თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე მისი მოგვარების გზები ძალადობის პრევენციის მიზნით.“

იურისტს დახმარებისთვის მიმართა ერთ-ერთმა ბენეფიციარმა. მისი ოჯახის წევრები აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე დააკავეს, რადგან არ ჰქონდათ საჭირო დოკუმენტები. მათ შორის იყო მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც მშობლებს ზუგდიდში სამკურნალოდ ჰყავდათ წყვანილი. იურისტმა მაშინვე მიმართა რაიონის მთავარ ადმინისტრაციულ შტაბს და განუმარტა, რომ საქმე მცირეწლოვან ბავშვს ეხებოდა. რეაგირება მალევე მოხდა. დაკავებულებს ჯარიმა დააკისრეს და გაათავისუფლეს.

იურისტის საკონსულტაციო შეხვედრაზე მონაწილეები შეეხნენ მიწით სარგებლობის სამართლებრივ ნორმებს და ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კოკის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდებთან. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“. ახალგაზრდული კლუბის მოხალისეებმა სოფელ ორსანტიის სკოლაში გამართეს შეხვედრა ქალთა უფლებებზე.

გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი

ძალადობის მონიტორინგი ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, თუმცა დღემდე პრობლემაა ფაქტების გამოაშკარავება. უფრო ხშირად - ჭირს თანამშრომლობის გაგრძელება ძალადობის მსხვერპლთან, რადგან უმრავლესობა ირჩევს საკუთარი ოჯახის პრობლემა გარეთ არ გაიტანოს.

თვის განმავლობასი შეივსო ძალადობის მსხვერპლის 8 ანკეტა. მათ შორის 4 მზად არის, ითანამშრომლოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრთან, 3 აპირებს გაიაროს ფსიქოლოგის

კონსულტაცია და იმუშაოს საკუთარი ცხოვრების შესაცვლელად. ერთი ქალბატონი იურისტის კონსულტაციას ითხოვს, რათა მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, რა უფლებები აქვს, ვის შეიძლება მიმართოს და სთხოვოს დახმარება.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ორი ჩაღრმავებული ინტერვიუ თბილისსა ქუთაისში.

ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს თავმჯდომარესთან სოფიო ჯაფარიძესთან. რესპონდენტი პასუხობს, როგორია უწყებათაშორისი საბჭოს როლი რეფერალური მექანიზმების სუბიექტებს შორის კოორდინაციის საკითხებში. მისი აზრით, კოორდინაციის ხარისხი დასახვეწია. ეს უნდა ხდებოდეს ყოველდღიური მუშაობის რეჟიმში და ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი. მისი თქმით, მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურები გამარტივებულია და უფრო მეტი ოპერატიულობით არის შესაძლებელი მსხვერპლის დახმარება.

მეორე რესპონდენტი - ქუთაისის სოციალური სამსახურის უფროსი ნინო ჭილაძე თავშესაფრებში მოხვედრის გამარტივებაზე საუბრობს და კანონში შესული ცვლილებების დამტკიცების აუცილებლობას ხაზს უსვამს.

**ოქტომბერში ჩატარდა 85 აქტივობა.
მონაწილეობა მიიღო 806 ადამიანი.**

33 სამობილიზაციო შეხვედრა თემებზე: „სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღე“, „ძალადობა და მისი პრევენცია“, „ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები“ – 307 მონაწილე

6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 72 ადამიანი

12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში - 74 მონაწილე

6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 61 მონაწილე.

12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისის კოლექტიურ ცენტრებში - 74 მონაწილე

6 ახალგაზრდული კლუბი – 81 მონაწილე

6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში – 83 მონაწილე

2 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით - 52 მონაწილე

2 ღონისძიება - მონიტორინგის ჯგუფის ჩატარებული 2 ჩაღრმავებული ინტერვიუ - 2 მონაწილე